ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1430332

ნომერი: AR1243343

თარიღი : 09.08.2014

გაცემის თარიღი : 13.08.2014

გაცნობის თარიღი : 13.08.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორმის , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ჯიქია პ/ნ 01031004087
- q. Tbilisi. bohcormis q. 3

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით მაჭარაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს"პუშკინ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406096674
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავრიშ ზრგოიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 010115022906

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : #1034456
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 9.12.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57 დადგენილების 57-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტზე არ არის განხორციელებული ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ამ დადგენილების შესაბამისად საჭიროებენ მშენებლობის ახალ ნებართვას. ამავე დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში ხორციელდება ისეთი ცვლილებების შეტანა, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და იმის გამო, რომ საპროექტო ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამსახური ამ ეტაპზე თქვენს თხოვნას მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

ამდენად, გთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული და შემდგომისთვის მოთხოვნა შესაბამისი განაცხადის საფუძველზე დააყენოთ არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ახალი ნებართვის გაცემის თაობაზე ან აღნიშნულ განცხადებაზე ისარგებლოთ "ნომენკლატურის ცვლილების უფლებით" და აირჩიოთ შესაბამისი ნომენკლატურა, რასაც შესაბამის სრულყოფილ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა დაერთოს დარღვევით წარმოებული მშენებლობისათვის გამოცემული აქტი, დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.